პარასკევი, 10 აგვისტო 1907 წ.

72

წელიწადი პირველი — № 174

# ისარი

## ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.
განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.
ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.
რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.
თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»

### „ისარი“-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ აგვისტოდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 4 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მან. და 80 კ. მეტი.

პირველ აგვისტოდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—3 მ. 50 კ. ტფილისს გარედ—4 მ. საზღვარ-გარედ—5 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/II-65
1

ექიმი
**ი. ზაზაკიძე**
იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.-უ—00)

კბილის ექიმი
**ნინო რცხილაძე**
იღებს ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი, —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—156)

ექიმი
**ა. ნ. დიასამიძე**
**კანისა და ვენერიული.** ორშაბათს, სამშაბათს, ოთხშაბათს და პარასკევს დილით 9—10 ს. საღამოობით 6—8. ხუთშაბათსა და შაბათს დილით 9—10 ს. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ექიმი
**მ. ხ. მუსხელიშვილი**
მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილის 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

კბილის ექიმი
**ალ. სოლოღაშვილი**
იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

თვალის ექიმი
**ზ. მ. ცხვედაძე**
დორპატის უნივერსიტეტის კლინიკაში ასისტენტად ნამყოფი, იღებს თვალით ავადმყოფებს ყოველდღე დილ. 9—1 ს. და საღ. 5—7. ვერა, ოლგას ქუჩა, № 31, სახლი სარაჯიშვილისა. (28—228—13)

ელექტროთერაპიული
**კაბინეთი**
მიხეილ გედევანიშვილისა
იღებს ნერვებით ავადმყოფთ დილის 12—1 ს. საღ. 6—7 ს. ვერაზე ყორღანოვის ქუჩა, 20. ტელ. 791. (25—ნ.—7)

**სამკურნალო**
**სპეციალისტ სამხედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის**
ფასი რჩევისთვის 50 კაპ.
**განჯის დიდი ქუჩა, № 3. ალექსანდრეს ბაღის მახლობლად.**
ტელეფონი № 481.
ავადმყოფთა მიღება 11-დან 5 საათამდე.
**რუდინკო**—შინ. სნეულ. კვირა 3—4 ს. 2—3 ს.
**იანჩევსკი**—ყურ. ყელ. და ცხვ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ვნუკოვი**—ქირურ. ყოველ დღე 2—3 ს.
**ფალამქაროვი**—ქალისა და ბავშვისა, ყოველ დღე, 1—2 ს.
**გორალევიჩი.** შინაგ. ყოველ დღე, 1—2 ს.
**თერამე**—კან. და ვენერ. ყოველდღე 1—3 ს.
**ბოგოვსკი**—შინ. შთაგონ. ყოველდღე 4—5 ს.
**მონზე**—ბავშვ. სამშ., ხუთშ., შაბ. 4—5 ს.
**ექიმი ქალი იოხელიანი:**—ქალ. ორშ., ოთხ., პარ. და კვირ, 11—12 ს.
**ბაგლოცკი**—ქირურგ. ყოველ დღე 12—1 ს.
**ნევშთროვა**—კბილისა, ყოველდღე 11—5 ს. კვირ. 11—2 ს.
**გოროდცევი**—მასსაჟი, ყოველ-დღე 11—4 ს.
**რიდელი**—სიფილ., კან., ვენ., ყოველ. 4—5 საათ.
**ბივარსკი** კლინიკური ანალიზი.
**ჩუდნოვსკი**ნერ., სულ., გიპოზი ყოველდღე 4—5 ს.
კონსულტაცია, მასაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. (100—ნ.—22)

**ქუთაისში**
კბილის ექიმმა მახარაშვილმა
განაახლა ავადმყოფების მიღება. (5—4)

**დ**ირექტორი საკომერციო სასწავლებლისა, გამგე **მანთაშევის სავაჭრო სკოლისა,** აცხადებს, რომ სკოლა მოთავსდება კომერციულ სასწავლებლის შენობაში და მისაღები საკონკურსო გამოცდა მოსამზადებელ კლასის უფროს განყოფილებაში მოხდება 27 და 28 აგვისტოს. თხოვნის შემოტანა და საჭირო ცნობების მიღება სკოლის შესახებ შეიძლება კომერციულ სასწავლებლის კანცელარიაში (10—231—4)

ქუთაისის სამეურნეო სკოლის საპედაგოგიო
**საბჭო**
აცხადებს, რომ მისაღები ეგზამენები ამ სასწავლებელში დანიშნულია 5 და 6 ენკენისთვის. მისაღები მოსწავლენი უნდა იყვნენ 13—17 წლისანი. ვინც კარგად დაიჭერს ეგზამენს, სკოლის ხარჯზე იქნება მიღებული. (2—კვ—2)

**ყაზბეგის ქალთა**
**პროგიმნაზია**
აცხადებს, რომ ყმაწვილების მიღება დაიწყება 23 აგვისტოს დილის 10 საათიდან 12-დე.
სასწავლებელი იმყოფება იმავე შენობაში, ამირაჯიბის სახლში, ოლგას ქუჩიდან თაიროვის ვიწრო ქუჩის შესახვევში. (3—უ.—1)

**ქართველ ქალთა**
წმ. სათავად-აზნაურო სკოლა
ამით აცხადებს, რომ მისაღები გამოცდა საშუალო (27 ვაკანსიაა) და პირველ განყოფილებაში (4 ვაკანსიაა) დაიწყება 28 აგვისტოს, დილის 8 საათზე.
თხოვნების მიღება დაიწყება 23 აგვისტოდან. ნიკოლოოზის ქ. № 7. (3—ნ—1)

წიგნის მაღაზია
**„ნოვაია რეჩ“**
(ახალი სიტყვა)
გოლოვინის პროსპექტი. სახაზინო თეატრის პირდაპირ.
მიღებულია სახელმძღვანელოები
კავკასიის სამოსწავლო ოლქის ყველა სასწავლებლებისათვის.
**მასწავლებლებს სახელმძღვანელოები 10% ნაკლებ დაეთმობათ.**
20—2.

გამოვიდა და ისყიდება ახალი წიგნი:
**ჩვენი მწერლობა**
სალიტერატურო ქრისტომატია საშუალო სასწავლებელთათვის.
**ნაწ. I: მგოსნები.**
ბიოგრაფიებით და ლექსიკონით
შედგენილ-გამოცემული
**ს. რ. გორგაძის მიერ.**
ფასი უყდოთ **ათი შაური**. იყიდება „ქ. შ. წ.-კითხვის გამავრც. საზოგადოების“ წიგნის მაღაზიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა) და შემდგენელთან: ტფილისი, ვერა, არაგვის ქუჩა № 8, ეგაძის სახლი
ფოსტა-ტელეგრაფის ადრესი: Тифлисъ Арагвинская улица № 8, Сергѣю Романовичу Горгадзе.
ვინც შემდგენელისაგან ერდროულათ ათსა და მეტ ცალს იყიდის, თვითეული წიგნი დაეთმობა **ცხრა შაურად.** წიგნის მაღაზიებს წიგნი ეძლევათ ჩვეულებრივის 20%-ის დათმობით. (10—6.—6)

**იაფად** იყიდება სახლი, 110 ოთხ. საჟ. მიწით, სიმონოვის ქუჩაზე. იკითხეთ გ. თოიძესთან ბიურო **„სატრუდნიკში“**, დვორცოვი ქ., სარაჯიშვილის სახლის ეზოში, ტელეფონი № 802. იქვე შეიძლება სახლების ყიდვა ხელმისაწვდენ და **შეღავათიანის** პირობებით. (3—233—3)

მმ. ნიკიტინების თეატრში
**ოთხშაბათს, 15 ამა აგვისტოს,**
სპარსეთ ს ქართველების
**ქალბატონ ქეთევან ონიკაშვილის და ქალბატონ რუსა ხუციშვილის**
მხიარულად და გასართობად გაიმართება სადღესასწაულო წარმოდგენა
**ლალაში**
დრამა 5 მოქმ. სუმბათაშვილისა
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი აბაშიძე, კარგარეთელი, ნ. ჩხეიძე და ბ-ნნი კ. აბაშიძე, ვ. გუნია, კ. ყიფიანი, იმედაშვილი, ივანიძე და სხ.
დასასრულ
**დ ივერტისმენტი**
ქ. ქ. ონიკაშვილის და ქ. რ. ხუციშვილის მონაწილეობით
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.**
ბილეთები იყიდება „წერა-კით. საზოგ დოებაში“.

**რადგან უკანასკნელ**
დროს მეტისმეტად გავრცელდა ყვავილი ბავშვებსა და უფრო კი მოზრდილთა და მათ შორისაც, ვისაც ყვავილი აცრილი აქვს, ქალაქის სასანიტარო-სამკურნალო საბჭო ურჩევს ქალაქის მცხოვრებთ დაუყოვნებლივ მოახდინონ როგორც ვაქცინაცია, აგრეთვე რევაქცინაცია (ხელმეორედ აცრა ყვავილისა). მეტი ყურადღება უნდა მიაქციონ ამას იმ ოჯახებმა, სადაც ყვავილმა თავი იჩინა. ყვავილის აცრა შეიძლება ყოველ დღე ქალაქის ხუთივე სამკურნალოში და საქალაქო უბნების მკურნალებთან მათ რაიონებში **უფასოდ.** (2—6.—2)

მცხეთის დედათა მონასტრის ოთხ-კლასიან
**ქალთა სკოლაში**
მისაღები ეგზამენები დაიწყება ხუთს ენკენისთვეს ამა 1907 წ. შესანახი ფული პანსიონში, სრული ხარჯი, არის თითო მოსწავლეზედ თოთხმეტი თუმანი, ხოლო ნახევარ ხარჯზედ ათი თუმანი. სკოლის უსახსრობის გამო შესანახ ფასისაგან არავინ იქნება განთავისუფლებული.
გამგე სკოლისა კნ. ე. ი. ბარათაშვილისა (3—უ.—2)

### ტფილისი, 10 აგვისტო

დიდათ საყურადღებო საერთაშორისო აქტი გამოცხადდა ამ დღეებში. ეს არის რუსეთ-იაპონიის კონვენცია, რომელზედაც რუსეთისა და იაპონიის იმპერატორთა წარმომადგენლებს ხელი მოუწერიათ ივლისის 17 ს. ეს მესამე კონვენცია არის, რომლით იაპონია ეკვრება სხვა სახელმწიფოებს ამ წლის განმავლობაში; პირველი იყო ინგლისთან, ხოლო მეორე საფრანგეთთან. სამივე საერთაშორისო აქტი დიდმნიშვნელოვანია აზიის ცხოვრებისათვის და ამავე დროს მოწმობს იაპონიის დიდ. გამარჯვებასა გარეშე პოლიტიკაში.

თორმეტი წლის წინად იაპონიამ დაამარცხა ჩინეთი, მაგრამ მაშინ გამარჯვებით ვერ ისარგებლა. ევროპის ძლიერი სახელმწიფონი წინ გადაეღობნენ ძლევამოსილს იმპერიას და საგრძნობლად შეჰკვეცეს მისი მოთხოვნანი. ევროპას ერთის მხრით ეშინოდა იაპონიის გაძლიერებისა შორეულს აღმოსავლეთში, მეორეს მხრით მაინც და მაინც დიდათ არ აფასებდა იაპონიის ძლევამოსილებას და ამიტომ თამამად ჩაერია საქმეში და გამარჯვებას ნაყოფი გაუნახევრა... გავიდა ათი წელიწადი და „ამომავალი მზის იმპერიამ“ საშინლად შემუსრა ის ევროპიელი სახელმწიფო, რომელიც მეთაურობდა ევროპის სახელმწიფოთა ხსენებულს კოალიციას ჩინეთ-იაპონიის ომის შემდეგ. ამ ახალს და დიდს გამარჯვებას სრულიად სხვა შედეგი მოჰყვა. ახლა ვერცერთმა სახელმწიფომ ვერ გაბედა—იაპონიას წინ გადაღობებოდა და პორტსმუტის ტრაქტატი სიმონოსეკის ხელშეკრულობასავით დაემახინჯებინა. იაპონიამ ხელში ჩაიგდო კორეა და ლიაოდუნის ნახევარ-კუნძული, გამორეკა რუსეთი სამხრეთ მანჯურიიდან, წაართვა მათ სახალინის ნახევარი და სხვა და სხვა. მიკადოების იმპერიამ, რუსეთის დამარცხების შემდეგ, არა თუ იზღო ის, რაც ჩინეთთან ომის შემდეგ არ დაანებეს, ზედმეტიც აიღო და ერთბაშად ვადაიქცა მთელ შორეულ აღმოსავლეთის ბატონგამგებლად. ხოლო მისმა პრესტიჟმა აზიაში ერთი ათად იმატა.

იაპონიის ასეთმა სამაგალითო გამარჯვებამ და უნახავმა გაძლიერებამ ხელად ჩააჩუმა ევროპა. ჯერ სანამ რუსეთ-იაპონიის ომი გათავებული არ იყო, გერმანია და საფრანგეთი დაჟინებით ყვიროდნენ „ყვითელ საფრთხეზე“, აფრთხილებდნენ სახელმწიფოებს და ურჩევდნენ „მონგოლების“ წინააღმდეგ კავშირის შეკვრას; მაგრამ ბოლოს ხმა გაიკმინდეს და იძულებულნი გახდნენ „შეეწყნარებინათ საქმეთა ახალი მდგომარეობა“. მედიდურმა ევროპამ გამოიცვალა კილო, რომლითაც ჩვეულებრივ ელაპარაკებოდა „აზიის ველურ ქვეყნებს“ და იძულებული შეიქნა ეღიარებინა იაპონია სრულ თანასწორ უფლებიან სახელმწიფოდ. სამართლიანობა მოითხოვს აღვნიშნოთ აქ, რომ შორსმჭვრეტელმა და ბრძნულმა ინგლისმა უფრო ადრე, რუსეთ-იაპონიის ომამდე, დააფასა იაპონიის მნიშვნელობა და ძალა და თავის ჩვეულების წინააღმდეგ კავშირითაც კი შეეკრა...

ზემოდ დასახელებული სამი კონვენცია შედეგია იმისა, რომ ევროპა იძულებული გახდა სრულ თანასწორ უფლებიან სახელმწიფოდ ეცნო იაპონია და საჯაროდ ეღიარებინა მისი ბატონობა შორეულს აღმოსავლეთში, შექმნილი უკანასკნელის ომით. საფრანგეთიც, ინგლისიც და რუსეთიც აღიარებენ, რომ შეიწყნარეს საქმეთა მდგომარეობა, რომელიც ასე თვალსაჩინოდ შეიცვალა უკანასკნელ ომის შემდეგ, ესე იგი, აღარ შეეცილებიან იაპონიას არც კორეაში, არც ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე, არც სამხრეთ მანჯურიაში... ამ სამ კონვენციიდან მეტი მნიშვნელობა საერთაშორისო უფლების მიხედვით რუსეთ-იაპონიის კონვენციას აქვს, რადგან სწორედ რუსეთი იყო ყველაზე უფრო დაინტერესებული იმაში, რომ აწინდელი status quo შეცვლილიყო. მაგრამ რუსეთიც უარს ამბობს უიმედო რევანშზე ჯერ-ჯერობით მაინც და მნიშვნელოვანის პირობებით უთანხმდება იაპონიას. 17 ივლისის კონვენცია სულ ორის მუხლისაგან შესდგება: ორივე სახელმწიფო, მოწადინებული მშვიდობიან და კეთილსამეზობლო ურთიერთობის დაცვას, მოვალეობად სდებენ: 1) უდავოდ და პატიოსნად შეიწყნარონ როგორც პორტსმუტის, ისე სხვა შეთანხმებანი რუსეთ-იაპონიის შორის, შეიწყნარონ ურთიერთ ტერიტორიების ხელუხლებლობა იმ საზღვრებში, რომელიც უკანასკნელმა ომმა შექმნა და 2) დაიცვან ჩინეთის დამოუკიდებლობა... ამგვარივეა თითქმის საფრანგეთ-იაპონიისა და ინგლის-იაპონიის წინად შეკრულნი კონვენციები. იაპონიამ ახლო მომავლისათვის მაინც გაიკეთა საქმე: შეუშფოთებლად და უშიშრად განაგრძობს კორეასა და მანჯურიაში გამაგრებას, შეუშფოთებლადვე და უშიშრად განაგრძობს ჩინეთის აღორძინება-განახლების საქმეს. ხოლო თუ ამერიკასთან სადავო საქმე მორიგებით ვერ გაათავა, ყოველ შემთხვევაში ზურგი ექნება გამაგრებული დადებულის პირობებით და თავისუფლად მოქმედება შეეძლება...

ასე დაუბრკოლებლად მიდის წინ იაპონიის საქმე და თან ძველის აზიის გამოფხიზლების საქმეც. დაჩაგრული, დამონავებული და აბუჩად აგდებული აზიის ხალხნი თანდათან ამსხვრევენ სამარცხვინო ბორკილებს და თანაც ხარბად ეწაფებიან ახალს, უფრო მაღალს, კულტურულს ცხოვრებას.

### სოციალისტური კონგრესები ევროპაში

ამ ჟამად ევროპაში ორი კონგრესია სოციალისტურ პარტიებისა, ერთი—შტუტგარდში (გერმანია) ინტერნაციონალური სოციალისტური კონგრესი, მეორე—ნანსში კერძოდ საფრანგეთისა. შტუტგარდის კონგრესი დაიწყო 5 აგვისტოს. გამოცხადდა 886 დელეგატი: გერმანიიდან 300, ავსტრიიდან 80, ინგლისიდან 130, რუსეთიდან 50 და სხ.

ამავე დროს ამავე ქალაქში დაიწყო ინტერნაციონალური კონგრესი ქვისმთლელთა და კალატოზთა პროფესიონალურ კავშირებისა. ქალაქში დიდი ამბავია.

ნანსში კონგრესი საფრანგეთის შეერთებულ სოციალისტურ პარტიისაა. დღემდის გარჩეულ საკითხთა შორის ყველაზე მწვავე კამათი გამოიწვია ანტიმილიტარიზმმა. ანტიმილიტარიზმის უკიდურესმა და ცხარე დამცველმა გუსტავ ერვიემ ენერგიულად გაილაშქრა თავის მოწინააღმდეგეებზე გედსა და ჟორესზე. კამათი დაიწყო სამის სოციალისტურ ფედერაციის მიერ შეტანილ რეზოლიუციებიდან. დორდოლის ფედერაციის რეზოლიუცია ეწინააღმდეგება ერვიესებურ ანტიმილიტარიზმს, მაგრამ იმავე დროს ებრძვის მილიტარიზმს, რომელმაც უკანასკნელ დროს აუარებელი სახალხო ფული და ძალა გადაყლაპა. სენის ფედერაციის რეზოლიუცია სცდილობს ორი უკიდურესი აზრი შეათანხმოს. მესამე, იონის ფედერაციის რეზოლიუცია უკიდურეს ზომებს თხოულობს მილიტარიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად და შედგენილია ერვიეს გავლენით. „ომის დროს, ამბობს ეს რეზოლიუცია, საჭიროა სამხედრო გაფიცვა და ჯარის აჯანყება“. ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ ილაპარაკეს გედმა და ლაფარგმა, რომელთაც პასუხი გასცა თვითონ ერვიემ. ერვიეს წინააღმდეგ ილაპარაკა აგრეთვე დრეიფუსმა. ამბობენ, ჟორესიც ამ რეზოლიუციის წინააღმდეგ ილაპარაკებსო.

## ახალი ამბავი

✦ **„სტრაჟნიკისაგ ნ“ კაცის მოკვლა.** გუშინ, დილის 11 საათზე, აკიმოვის ქუჩაზე, ცხენით მიმავალ „სტრაჟნიკს“ რევოლვერი ესროლეს და ცხენი მოუკლეს. მსროლელი შუა ბაზრისაკენ გაიქცა. „სტრაჟნიკი“ გამოუდგა, ესროლა და მოჰკლა. მოკლული ყოფილა რაჭის მაზრის მცხოვრები ქელიძე. თოფების ხმამ ერევნის მოედანზე ხალხი ძლიერ დააფრთხო. ბევრმა თავი ქალაქის ლომბარდს შეაფარა, ლომბარდთან მდგომ დარაჯს ლომბარდზე თავდასხმა ეგონა, თოფი მაღლა გაისროლა და რევოლვერი იატაკს დაახალა. საჩქაროდ ლომბარდს ჯარი შემოერტყა, მაგრამ როცა გაიგეს, თუ რაში იყო საქმე, ისევ გაეცალნენ.

✦ **თავდასხმა.** 8 აგვისტოს, ალექსანდროვისა და კიროჩნი ქუჩის კუთხეში მიმავალ სავაჭრო სახლის „კაშჩენკო“-ს რწმუნებულს ტიხონ მიშინს თავს დაესხა ორი უცნობი. მიშინს 1800 მანეთი მიჰქონდა აზოვ-დონის ბანკში. 220 მანეთი ხელში ეჭირა და დანარჩენი ჯიბეში ჰქონდა. ბოროტ-მოქმედებმა ფული წაართვეს და მიიმალნენ.

✦ **თავდასხმა.** 8 აგვისტოს, საღამოს 6 საათზე, აბას-აბადის ქუჩაზე სახლში მიმავალ სტეფანე კარაევს სამი უცნობი თავს დაესხა და ფულები მოსთხოვა. კარაევის ცოლმა ყვირილი მორთო. ბოროტ-მომქმედებმა ქალს რამდენჯერმე ესროლეს, ფეხში დასჭრეს და მიიმალნენ.

✦ **ხოლერის მოლოდინში.** ტფილისის გუბერნატორმა ქალაქის თავს მისწე-

რა, შეიძლება ხოლერამ თავი იჩინოს და საჭიროა სადგომები ჰქონდეთ მზად საავადმყოფოებისათვის.

✦ **დაჭრა** 8 აგვისტოს საღამოს 7 საათზე ნავთლუღიდან მამუკის სოფელში მიმავალ კარაპეტ პოღოსიანცს უცნობებმა ესროლეს და მუცელში დასჭრეს. დაჭრილი სამხედრო საავადმყოფოში წაიყვანეს.

✦ **რადეს ბიბლიოთეკა.** კავკასიის მუზეუმის ყოფილ დირექტორის რადდეს ქვრივმა თავისს ქმრის მდიდარი ბიბლიოთეკა მიმავალ კავკასიის შესასწავლ უმაღლეს კურსებს შესწირა.

✦ **მკვლელობა** 8 აგვისტოს, ღამის 12 საათზე, მუშტაიდის ქუჩაზე, გ დეკანოზოვის დუქანში, ორი უცნობი შევიდა; იმ წამსვე რევოლვერები ესროლეს დეკანოზოვს და მის მებუფეტეს გრიგორი ბაჯანოვს. დეკანოზოვი იქვე მოკვდა, ხოლო ბაჯანოვი საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

✦ **საქველმოქმედო წარმოდგენა.** ხვალ, 11 აგვისტოს, ვეტცელის თეატრში გაიმართება რუსული წარმოდგენა ტრამვაის მსახურ-მუშათა ბიბლიოთეკის სასარგებლოდ. წარმოადგენენ ორ პიესას: კომედიას—„რელსებზე“ და ვოდევილს—„ვიცმუნდირი“.

✦ **ხარფუხის საქალაქო სკოლა.** ქალაქის კომისიამ უკანასკნელ სხდომაზე დაადგინა, პუშკინის სახელობაზე გახსნილ ხარფუხის სკოლასთან გახსნას ქართული განყოფილება და სომხური განყოფილების ერთი კლასი.

✦ **ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებანი.** ტფ. გენ.-გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო-საოლქო სამართალში მისცეს გორის მაზრის სოფელ ტორის მცხოვრები ივანე შევჩენკო, რომელსაც ჰბრალდება მოკვლა ბორჯომის პოლიციელის იაკინთე აბაშიძისა (1906 წ.) და ბორჯომის მცხოვრების ალექსანდრე ციპლიუგინისა, დაჭრა ტყის გამგის თანაშემწის გელაძისა და გაძარცვა ძმების სტეფანოვებისა და მანუსაჯევისა. იგზავნებიან: პერმის გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე სპარსელი მაშადი-ბახირ-ვალი-ოღლი- ჰბრალდება მკვლელობა და იარაღის ტარება; ვიატკას გუბერნიაში სამხედრო წესების მოხსნამდე გორის მაზრელნი დავით ბ[...]შვილი და ნიკოლოზ მახათაძე—ჰბრალდებათ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის მებრძოლ ორგანიზაციის წევრობა და ტერორისტობა. ტფ. გუბერნიაში ცხოვრება აეკრძალათ ი. მჭედლურს, ალექსი ვერალუშვილს და ალექსი ცაბაძეს ათი თუმნით დააჯარიმეს „კანტინენტილის“ ნომერის პატრონი მ. გიუნენენისა. ხაშურში დაიკეტა დუქნები მ. ნიკოლაევისა და ა. ფიგრადოვისა.

✦ **ლექციები მეეზოვეებისთვის.** ხოლერის მოლოდინში აზრად აქვთ ტფილისელ მეეზოვეებს ლექციები წაუკითხონ ხოლერაზე. პოლიცმეისტერი შეეკითხა ბოქაულებს, რა დროს უფრო მოსახერხებელია ლექციების წაკითხვა. ტფილისში სულ 1813 მეეზოვე ყოფილა.

✦ **ფოთის შუამდგომლობა.** კავკასიის მთავრობას პეტერბურგში სავაჭრო სამინისტროში გაუგზავნია ფოთის ქალაქის თვით-მმართველობის შუამდგომლობა ფოთში შეტანილ და გატანილ საქონელზე ნახევარ კაპეიკის ბაჟის დაწესების შესახებ.

✦ **დაპატიმრება.** ამ რამდენიმე დღის წინად ტფილისში დაუპატიმრებიათ ტრამვაის ვატმანები სუხარევი, გლადკინი, გოგუა, ლონდარიძე, კენჭაძე და კონდუქტორები ლომიძე და გოგუა.

✦ **ჰააგის კონფერენცია და სომეხ დეპუტატთა პროტესტი.** სატახტო ქალაქის ზოგიერთ გაზეთებში დაბეჭდილია ჰააგიდან გამოგზავნილი შემდეგი დეპეშა: „სრულიად სომეხთა კათოლიკოსის დეპუტატებმა, ეპისკოპოსმა უტუდიანმა, აჰასონიანმა და შახნაზარმა ოსმალეთის სომეხთა სახელით წარუდგინეს მეორე ჰააგის კონფერენციას პეტიცია, რომლით მოითხოვეს სომეხთა საკითხის განხილვა კონფერენციაზე. კონფერენციის თავმჯდომარემ უარი უთხრა დეპუტაციას იმ საბუთის ძალით, რომ ეს საკითხი კონფერენციის კომპეტენციას არ შეადგენსო. დეპუტატები არ დაკმაყოფილდნენ ამ საბუთით, რადგან სომეხთა საკითხი ბერლინის ტრაქტატის მე-61 მუხლის ძალით საერთაშორისო საკითხად გადაიქცაო, ამის გამო სომხის დეპუტატებმა პროტესტი გამოუცხადეს კონფერენციას და აღუნიშნეს, რომ მაშინ როდესაც სახელმწიფონი უყურადღებოდ სტოვებენ თავისავე ვალდებულებას, რომელიც ბერლინის ტრაქტატმა დააკისრა, ოსმალეთის მთავრობა ჟლეტავს სომხებს და ანადგურებს სომხეთსაო“.

✦ 8 აგვისტოს, გოლოვინის და კრუზენშტეინის ქუჩის კუთხეში სერგო დემუროვის დუქანში ხუთი კაცი შევიდა და 300 მანეთი მოითხოვა. როცა დემუროვმა უარი უთხრა, ორი 20 მან. 60 კაპ. დირებული საათი მოიტაცეს და მიიმალნენ.

✦ 8 აგვისტოს, საღამოს 10 საათზე, უდელნი ქუჩაზე თავისს სახლში ხანჯლით დაჭრეს დათიკო თოროზოვი, დაჭრილი მიხეილის საავადმყოფოში გაგზავნეს. თოროზოვმა განაცხადა, ჩემმა ამხანაგმა არშაკმა (გვარი არ იცის) დამჭრაო.

✦ 8 აგვისტოს, დილის 11 საათზე ებრაელების ვიწრო ქუჩაზე მირზოიანცის სახლს ცეცხლი წაეკიდა. ცეცხლი მქრობელ რაზმმა ჩააქრო.

## ქუთაისის ქრონიკა

✦ 8 აგვისტოსათვის დანიშნული საგანგებო კრება თავად-აზნაურობისა გადაიდო მომავალ ენკენისთვისათვის. მიზეზი კრების გადადებისა ის იყო, რომ სამინისტროდან თავად-აზნაურთა წინამძღოლს მოუვიდა ცნობა, რომ მიმდინარე წლის 20.000 მანეთი შეტანილ იქნება ხარჯთ-აღრიცხვაში არა უადრეს ღვინობისთვისაო. ამნაირად სასტიპენდიოდ გადადებულ ფულის მიღება წლის დამლევამდე შეუძლებელი გახდება და ამიტომ საკითხი ფულების განაწილების შესახებ საჩქარო აღარ არის. ენკენისთვის კრება, გარდა სტიპენდიების გადაწყვეტისა, აირჩევს ორ ამრჩეველს, რომელთაც გიორგობისთვეში მონაწილეობა უნდა მიიღონ სახელმწიფო საბჭოს წევრის არჩევნებში პეტერბურგს.

✦ 10 მარიამობისთვეს, საღამოს 6 საათზე შავი ქვის მრეწველთა საბჭოს სადგომში მოლაპარაკებაა დანიშნული რკინის გზის შტოების გაყვანის შესახებ ჭიათურის გზის სადგურამდე. ამ კრებაზე მრეწველნი მიიწვიეს.

✦ ქუთაისის ბანკში დაგირავებულ საჯარო ვაჭრობის დროს გასასყიდად დანიშნული იყო 344 ქალაქისა და სოფლის მამული. სავალო გადასახადი შეიტანა ბანკში 245 მემამულემ, ხოლო დანარჩენი 99 მამულის მეორე ვაჭრობა დანიშნულია 10 აგვისტოს.

✦ საადგილ-მამულო ბანკის მიერ გაგზავნილმა დამფასებელ კომისიის ორმა წევრმა დარჩენილ მამულების გასასყიდად [...] გამგეობას, მამულების ძველი პატრონნი წინააღმდეგობას სწევენ მამულების განაღდების საქმეში, ხოლო ერთმა მათგანმა, სახელდობრ ბიჭია ბაქრაძის მემკვიდრეებმა, მამულის მყიდველს კიდევაც სცემეს. ეს ამბავი ბანკის გამგეებმა აცნობეს გენერალ-გუბერნატორს, რომელსაც მიუწერია რაჭის მაზრის უფროსისათვის, ბანკის აგენტებს დახმარება აღმოუჩინეთ.

✦ საქციო დამზღვევ საზოგადოებებს პრემიის გასადიდებლად ქუთაისი მეოთხე კატეგორიიდან მეექვსეში ჩაურიცხავთ და ამ რიგად ყოველ ათას მანეთზე სახლის დამზღვევებმა, 3 მ. 50 მაგივრად, უნდა იხადონ 6 მანეთი. ბანკში დაგირავებულ მამულების პატრონთ 1 იანვრიდან 1908 წლისა თითქმის გაურკეცდებათ გადასახადი.

✦ შავი ქვის მრეწველთა საბჭოს ორი წევრი ბ-ნნი კიტა აბაშიძე და ალ. გამრეკელი ამ ჟამად პეტერბურგში არიან. საბჭოს მინდობილობით მათ ფინანსთა მინისტრის წინაშე შუამდგომლობა აღძრეს, რომ სამხრეთ რუსეთის ქარხნებს მოესპოთ ის უპირატესობა, რომელიც მათ მიანიჭა სამინისტრომ. ეს უპირატესობა, როგორც მკითხველმაც უწყის, იმაში მდგომარეობა, რომ ერთ მრეწველს სახელდობრ ინჟენერ ჩერნიავსკის, წესრიგის გარეშე მიეცა 30 ვაგონი ყოველ დღე, რომ სამხრეთ რუსეთში გზავნოს მადანი. შავი ქვის მრეწველნი ისედაც შევიწროვებულნი არიან ვაგონების სიმცირით და 30 ვაგონის გაცემამ ხომ მთლად შეაფერხა საქმე. მინისტრის აჩნავს აღუთქვამს საქმის განხილვა.

✦ მრეწველთა საბჭოს მოსამსახურეთა ერთ ნაწილს განცხადება შეუტანია საბჭოში. სთხოვენ, მოსპოს მოსამსახურეთა ბიუროს მოქმედება, ვითარცა უსარგებლო დაწესებულებას. საბჭოს საქმილოდ დაუნახავს, ამ საგანზე შეეკითხოს მოსამსახურეთა უმრავლესობას და შემდეგ ამისა იქონიოს მსჯელობა.

✦ ამ დღეებში მეორე გამოცემად გამოვა სილოვან ხუნდაძის ქართული გრამატიკა. ახალი გამოცემა ავტორის მიერ შევსებულია. პირველი გამოცემა 2400 ცალი ორი წლის განმავლობაში გაიყიდა. ხუნდაძის გრამატიკა სახელმძღვანელოდ არის მიღებული წერა კითხვის საზოგადოების სკოლებსა და სასულიერო სემინარიაში და სასწავლებლებში.

## პრესსა

„ჭარიშხალის“ სამივე ნომრის სამი მეოთხედი მიმართულია ფედერალისტებისა და „ისრის“ წინააღმდეგ. ჟურნალი ჩვენგან ალბად პასუხს მოელის, მაგრამ პირდაპირ უნდა ვანაცხადოთ, რომ ვერავითარ პასუხს ვერ გავცემთ იმ კაცს, რომელიც „ყოველ შემთხვევაში დიდ უზრდელურებად სთვლის ქართველ ერისთვის პოლიტიკურ თავისუფლებას“, რომელიც გარიბალდს, კოსტიუშკოსა და მაძინს „პოგრომშჩიკებს“ უწოდებს, რომელსაც უხარიან პოლონეთის პოლიტიკური უბედურება-მონობა; ვერ გავცემთ ვერავითარ პასუხს ისეთ ადამიანს, რომელსაც უწმაწურ ლანძღვა-გინებაში და ყაზარმულ ოხუნჯობაში დიდ მანძილზე ჩამორჩება ან დახელოვნებული ავლაბრელი კინტოები; ვერ გავცემთ პასუხს და ახლო ვერ მივეკარებით იმ ადამიანს, რომელიც საზიზღარ ლანძღვა-გინებასა და ჭუჭყიან ცილისწამების წუმპეში ჭყუმპალაობს, რადგან ვერიდებით, რომ წუნწკლები მისი ჭუჭყისა და ტალახისა არ მოგვხვდეს და არ გაგვსვაროს. ამიერიდან პასუხის გაცემა ჩვენივე თავის დამცირებად და პატიოსნების შელახვად მიგვაჩნია. ვნანობთ მხოლოდ იმას, რომ ასეთ ჟურნალს, ასეთ ადამიანს მსმენელი და მკითხველი ჰყავს.

თავს მხოლოდ იმით ვინუგეშებთ, რომ მალე დადგება ის დრო, როცა ლიტერატურულ ქარყვნილებასა და ენატურტლიან ლიტერატორებს ნამდვილი [...] ცლებათ და [...] „[...]ბასაც“ ბოლო მოეღება.

*
* *

რეაქციონერები მაინც უიმედოთ არიან და არც მესამე სათათბიროსი სწამთ რამე. „კიევლიანი“-ი სწერს:

სათათბიროში არა რუსნიც იქნებიან, მაშასადამე სათათბირო არც იქნება წმინდა რუსული. სხვა ერების და სხვა სარწმუნოების ელემენტები, თუმცა რიცხვით ნაკლებნი იქნებიან წინანდელზე, მაგრამ ესენი მით უმეტესის ძლიერებით გამოიჩენენ თავის სპეციფიკურს თვისებებს, რომელნიც ყველამ კარგად იცით. ამ თვისებათა ატმოსფერაში, სადაც სხვას არაფერს არა აქვს ადგილი, გარდა რუსეთის მიმართ მძულვარებისა, ვერც მთავრობა გააწყობს რასმეს და დაიწყება ისევ ძველი მუშაობა, მიმართული რუსეთის დაღუპვისაკენ და არა განახლებისაკენ... მართალია მესამე სათათბიროში კეთილმოაზრეთა რიცხვი მეტი იქნება, ვიდრე პირველ ორში იყო, შეიძლება 1/10-ის მაგიერ 1/4-იც იყოს; მაგრამ ამით მაინც არ შეეძლებათ, რაც უნდა ძლიერად იყვნენ გამსჭვალულნი სამშობლოსადმი სიყვარულით, მთელი პარლამენტის მოღვაწეობას სასურველი მიმართულება მისცენ...

მთავრობამ ყოველი ღონე იღონა და ამ „კეთილ მოაზრე“ ელემენტებს ადვილი გზა გაუკაფა მესამე სათათბიროსკენ; თუ ახლაც ვერ გაიმარჯვეს, მათი საქმე ხულ დაღუპული ყოფილა რუსეთში და მთავრობას სხვა გზა აღარ დარჩება, სრულებით უნდა მოსპოს სათათბირო.

*
* *

ამას წინად „ჭეშმარიტ რუსთა“ ოფიციოზურმა გაზეთმა „რუსსკ. ზნ.“ მ გამოაცხადა: შურის ძიების საათი მოახლოვდაო და ახლაკაზდა გულადი ჭეშმარიტი რუსნი მზად არიან შემუსრონ რუსეთის დაუძინებელნი მტერნი, რომელთა გვარებსაც მალე გამოვაქვეყნებთო, ახლა „რუსსკ. ზნ.“-ს შეუდგენია მტერთა სია და აცხადებს კიდეც:

თუ მესამე სათათბირომ ებრაელებს თანასწორუფლებობა მიანიჭა, რუსის ხალხის მთელი და საშინელი რისხვა კადეტებს დაატყდება თავზე. ხალხი გაულეტავს „ჟიდების“ ამ პარტიას, რომლის მეთაურებსა და ხელმძღვანელთ: მილიუკოვს, გესსენებს, პერგამენტს, კალმანოვიჩს, კიზევეტტერს, ნემიროვსკის, გურლიანდს, ვინავერს, ურუსოვს, კუტლერს, ლოპუხინს, შიპკინს, პეტრაჟიცკის, ლედნიცკის, პრჟევალსკის, მაკლაკოვს, ხიზნიაკოვს, პეტრუნკევიჩს, როდიჩევს, დოლგორუკოვს, სტახოვიჩს, სლიოზბერგს, გოლოვინს, მურომცევს და სხვათა—ყველა იცნობს. ჯერ მესამე სათათბიროს დაუცადოთ...

ასე აშკარად ეწევა პროვოკაციას და იწვევს ხალხს „პოგრომზე“ შავრაზმელების გაზეთი; მაგრამ მისთვის არ არსებობს პრესის შესახები განსაკუთრებული

## ფელეტონი

### მიწის სოციალიზაცია და პროგრამა მინიმუმი.

ვ. ჩერნოვისა

„მიწის სოციალიზაცია. რასაკვირველია, მიწის სოციალიზაცია ერთი მთავარი მოთხოვნათაგანია სოციალისტურ პარტიისა. მაგრამ რად შეაქვთ იგი სოციალისტ-რევოლიუციონერებს პროგრამა-მინიმუმში? როგორ შეიძლება მიწის სოციალიზაციის გამოყოფა სხვა საწარმოო იარაღთა სოციალიზაციისაგან? სოციალიზმის განხორციელება არ შეიძლება ნაწილ-ნაწილად. სოციალიზმი არის ერთი მთელი რამ მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა იმ დროს, როდესაც ინდუსტრიისათვის წამოყენებულია უფრო მცირე მოთხოვნა, ნიშნავს იმას, ვითომ შეიძლებოდეს საზოგადოების ერთ ნაწილში სოციალიზმის განხორციელება, როდესაც მეორეში გამეფებულია კაპიტალიზმი. ეს შეუსაბამობა და უტოპიაა. სოციალიზაცია სასოფლო მეურნეობაში და სოციალიზაცია ინდუსტრიაში უნდა მოხდეს ერთსა და იმავე დროს. თუ გსურთ პროგრამა-მინიმუმში მოითხოვოთ მიწის სოციალიზაცია—იმავე პროგრამა-მინიმუმში მოითხოვეთ ფაბრიკების სოციალიზაციაც. მაშინ კი თქვენ პროგრამა-მინიმუმს გარდაჰქმნით პროგრამა-მაქსიმუმად და ამ გზით მიხვალთ ამ უკანასკნელის გაორკეცებასთან, ე. ი. აბსურდთან. ამ აბსურდის წყარო არის თქვენი მისწრაფება—აღუთქვათ სოფელს რაც შეიძლება მეტი, არა იზრუნოთ რა ლოღიკაზე და პროგრამის სხვა და სხვა განყოფილების ძირითად პრინციპების შეთანხმებაზე, ე. ი. უბრალოდ რომა ვთქვათ, ავანტიურიზმი და დემაგოგიაა“.

ამგვარია მოწინააღმდეგეთა აზრი ჩვენი აგრარულ პროგრამის ძირითად პუნქტის შესახებ. ამასთან ზემოთმოყვანილ ფრაზებს ისეთის დაჯერებულებისა და ავტორიტეტულის რიხით იმეორებენ, რომ კაცს ეგონება, ამერიკა აღმოაჩინესო. თუმცა მალი-მალ გამეორებით ვერც ერთი ვულგარული აზრი ვერ გაიმარჯვებს ლოღიკაში, მაგრამ მაინც ხან და ხან პრაქტიკულად სულ სხვა გამოდის. როცა ისეთის ხალხის წინაშე, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ მოუსწრია ამ საკითხში გარკვევა, დიდის ზარითა და ზეიმით გაიძახიან: „როგორ? მიწის სოციალიზაცია და პროგრამა-მინიმუმი? ავანტიურიზმია, უტოპიაა! ვინ უნდა მოატყუონ სოციალისტ-რეაქციონერებმა?!“.— არ შეიძლება ამან ცოტა რამ გავლენა არ იქონიოს „ჩვილთა აძათზედა“. მაშასადამე იძულებულნი ვართ სერიოზულად შევეხოთ საგანს და განვიხილოთ ჩვენ საწინააღმდეგოდ წარმოთქმული, ზემოდ მოყვანილი აზრები.

როდესაც ერთმა პროვინციელმა მანდილოსანმა გაიგონა სიტყვები „სოციალური მეცნიერება“, ღრმად დარწმუნდა, რომ ეს ნიშნავდა „სოციალისტურ მეცნიერებას“, საუბედუროდ, ამგვარის მეტოდით (სიტყვის ერთხმოვანობით) ხელმძღვანელობენ არა მარტო პროვინციელი მანდილოსნები. მაგალითად, ზოგიერთები, რომელთაც თავიანთი თავი განათლებულ და ინტელიგენტებად მოაქვთ, გაიგონებენ რა სიტყვას „მიწის სოციალიზაციას“, მსწრაფლ დაიწყებენ ხოლმე ლაპარაკს „სოციალიზმის ნაწილზე“ ან „ერთგვარ წარმოების სოციალისტურ ორგანიზაციაზე“, შეუდგებიან განხილვას ფაბრიკათა სოციალიზაციისას, როგორც საგნის მზგავსის მიწის სოციალიზაციისა და სხვა და სხვა...

რომ „სოციალიზმი“ და „სოციალიზაცია“ (აგრეთვე „სოციალისტურიც“) წარმოსდგებიან ერთისა და იმავე სიტყვის ძირიდან—ეს ეჭვს გარეშეა. ეჭვს გარეშეა ისიც, რომ ერთისა და იმავე ძირიდან წარმომდგარ სხვა და სხვა სიტყვის მნიშვნელობა შეიძლება სულ სხვა და სხვა იყოს ეს ცნობა, გრამატიკის ელემენტარულ კურსიდან ამოღებული, არ უნდა დავივიწყოთ. კერძოდ კი სიტყვა „სოციალიზაცია“ ნიშნავს მხოლოდ კერძო საკუთრების უფლებიდან რაიმეს ამოღებას და საზოგადოების ხელში გადაცემას. ამასთან ხასიათი ყოველივე კონკრეტიულ „სოციალიზატორულ“ ზომისა პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, **თუ რა** ნაწილდება—პირდაპირ დამოკიდებულია თვითონ **ობიექტზე**, თვითონ სოციალიზაციის **საგანზე**. როდესაც მიწის სოციალიზაციაზე ლაპარაკობენ, ცხადზე უცხადესია, რომ აქ სოციალიზმი სრულიადაც არ იგულისხმება. სოციალიზმი არის ერთგვარი საშუალება წარმოების ორგანიზაციისა საზოგადოებით საზოგადოებისათვის. მიწის სოციალიზაცია თავის თავად **ჯერ** კიდევ არა სწყვეტს საკითხს **წარმოების ფორმის** შესახებ, იგი მხოლოდ სწყვეტს საკითხს **კერძო საკუთრების ფორმის** შესახებ, ერთგვარ სიმდიდრის შესახებ, სახელდობრ მიწა-წყლის საკითხს. სულ სხვაა იმისი გადაწყვეტა, ვინ არის მიწა-წყლის პატრონი, ვის ხელში უნდა გადავიდეს იგი და სულ სხვაა ის, თუ როგორი საწარმოო საშუალება იქნება დადგენილი ამ მიწაზე.

აქედან უკვე სჩანს, თუ რამდენად ბრიყვული, უშვერი და აბსურდულია ანალოგია მიწის სოციალიზაციისა და ფაბრიკათა სოციალიზაციის შორის. ფაბრიკათა სოციალიზაცია არის მთელი წარმოების საქმის გადასვლა საზოგადოების ხელში. ეს გვეუბნება თვით წარმოების მიმდინარეობის ძირითად საფუძვლის შეცვლაზე, როცა ფაბრიკებს მართვა-გამგეობაში „ხაზეინის“ პირად ინტერესებისა და სურვილის ნაცვლად გაბატონდებიან საზოგადოების ინტერესები, როცა წარმოება შეთანასწორებული იქნება საზოგადოების მოთხოვნილებასთან—ერთის სიტყვით, როცა იქნებოდა დალაგებული წარმოება ეხლანდელ სამრეწველო კრიზისების მაგიერ. მიწის სოციალიზაცია კი არის გადაცემა საზოგადოების ხელში და გამგეობაში მხოლოდ **ერთის** წარმოებისათვის აუცილებელ პირობისა, რომლითაც გაუქმდება ერთი მეტად მძიმე და მაზარალებელი კერძო მონოპოლია.

მიწა, რასაკვირველია, ერთი საწარმოო საშუალებათაგანია, როგორც ფაბრიკის შენობა, მაშინა, ორთქლის ძალა და სხვა, მაგრამ იგი ძლიერ განსხვავდება სხვა საწარმოო იარაღისა და საშვალებისაგან. ეს უკანასკნელი შექმნილია ადამიანის შრომით, მიწა კი არ არის ადამიანის შექმნილი; იგი განსაზღვრულის რაოდენობისაა და ამ რაოდენობის გადიდება არავითარის საშუალებითა და ძალით არ შეიძლება. ამას გარდა, მიწა მარტო სასოფლო მეურნეობისათვის არ შეადგენს მთავარ პირობას. ის არის ერთი მთავარი პირობათაგანი ყოველ გვარ წარმოებისათვის, ვინაიდგან შეუძლებელია რომელიმე სამრეწველო ჰაერში ჩამოჰკიდოს კაცმა. უფრო მეტიც—მიწა აუცილებელი პირობათაგანია სიცოცხლისა და სიკვდილისათვისაც, ვინაიდან სამი არშინი მიწა საფლავისთვის ყველას დასჭირდება, ვიდრე კი წინაპრებისაკენ გაემგზავრება.

მაშასადამე, მიწის სოციალიზაცია კიდევ არ არის სასოფლო მეურნეობის სოციალიზაცია, ამიტომ შეუძლებელია მისი შედარება ფაბრიკათა სოციალიზაციასთან. **მიწის სოციალიზაცია სოფელში** შეიძლება შევადაროთ **არა ფაბრიკების სოციალიზაციას, არამედ ამგვარსავე სოციალიზაციას იმ მიწისას,** რომელიც იმყოფება ქალაქის შენობების ქვეშ. მაშასადამე, ეს მოთხოვნა (ქალაქის პირობების მიხედვით) ნიშნავს მხოლოდ ქალაქის დემოკრატიულ თვითმართველობის, კომმუნის ან მუნიციპალიტეტის ხელში გადასვლას უფლებისა იმ მიწაზე, რომელზედაც სდგას ესა თუ ის კომუნა. სხვაფრივ რომა ვსთქვათ, ეს არის მუნიციპალიზაცია ანუ კომუნალიზაცია მიწისა. ამ შემთხვევაში კომუნების უფლებათა გაფართოება, რასაკვირველია, სასურველია. იგი უნდა ემსახუროს კულტურულ მიზნებს. აგრეთვე ქალაქის ღარიბ მცხოვრებთათვის—მათ რიცხვში ქალაქის პროლეტარიატისათვისაც—ექნება მას არა ნაკლები მნიშვნელობა ბინასადგომის საკითხში*). ამ ნიადაგზე უკვე

*) რასაკვირველია, სახლის პატრონის მხრივ ექსპლოატაცია მუშების, როგორც ბინების დამქირავებლებისა, მეორე ხარისხოვანია, გარეშე სახე ექსპლოატაციისა, შედარებით იმ ექსპლოატაციასთან, რომელშიაც იმყოფება მუშა, როგორც მწარმოებელი (რასაც განსაკუთრებულის ძალით ემყარება ფ. ენგელსი თავის „Lur Wohnungsfrage“-ში). ეს მაინც ხელს არ უშლის ამ შედარებით მეორე ხარისხოვან ექსპლოატაციას იქონიოს მუშებზე შემავიწროვებელი სულიერი და ფიზიკური გავლენა, და სპეციალური ზომების მოთხოვნას მათის ინტერესების დასაცავად თანამედროვე საზოგადოების ფარგალში.

სავლეფოლო დადგენილება-წესები: ხელვანებმა უკვე მიიღეს [illegible] სრული თავისუფლება.

## მუშების ცხოვრება

**ქრონიკა მუშათა მოძრაობისა უცხოეთში. შეერთებული შტატები.** მეტად საინტერესო საქმე გაირჩა ამას წინად ამერიკაში. იგი შეეხებოდა მაღაროს მომუშავეთა ფედერაციის მეთაურებს მოიერს, ჰეიუდს და პეტიბონს. ეს პროცესი ნათლად გვიჩვენებს, რა ხრიკსა და ხერხს მიმართავენ ხოლმე კაპიტალისტები მუშათა წინააღმდეგ ბრძოლაში. აი, საქმე რაში იყო.

ქ. კოლორადოს მაღაროებში მომუშავეებმა 1895 წ. შეადგინეს ერთი დიდი ფედერაცია. [illegible] მოიერი, ჰეიუდი და პეტიბონი. 1899 წლის [illegible] 8 საათის სამუშაო დღე [illegible] განიზრახეს ფედერაციის სრულიად გაუქმება. პირდაპირ, რასაკვირველია, ვერას გახდნენ, ამიტომ ხერხს მიჰმართეს. იმათ განზრახვას ხელი შეუწყო ერთმა გარემოებამ. 1905 წლის დეკემბერს ჯოჯოხეთის მანქანით მოჰკლეს წინად ლიდაჰოს შტატში გუბერნატორად ნამყოფი ფრანკ სტოინბერგი. პოლიცია დაფაცურდა. შეიპყრო ვიღაც ვაჟბატონი ორშარდი, რომელმაც განაცხადა, სტოინბერგი მოჰკლეს მაღაროებში მომუშავეთა ფედერაციის გადაწყვეტილებითაო. ესეც არ იკმარა გაიძვერამ და განაცხადა, ვითომ ამავე ფედერაციის ხელმძღვანელობით აფეთქებინოთ ინდეპენდანსის სადგური და ჩაედინოთ ყველა ის მკვლელობა და აფეთქება, რომელიც ბოლო დროს მოხდა. შტატის მთავრობამ მაშინვე დააპატიმრა მუშათა ფედერაციის მეთაურნი მოიერი, დაივუდი, პეტიბონი. რადგან მკვლელობა იდაჰოს შტატში მოხდა, შეპყრობილნი კოლორადოს შტატიდან, სადაც ფედერაცია არსებობს, განსაკუთრებულის ვაგონით იდაჰოს შტატში გადაიყვანეს.

გავიდა მას შემდეგ 17 თვე, საქმე მაინც მიყუჩებული იყო. ამასობაში გამოირკვა, რომ ორშარდი პროვოკატორი ყოფილა. კაპიტალისტებს მუშათა ფედერაციის მოსპობა სურდათ; უფიქრიათ, თუ მეთაურებს დავაპატიმრებთ და გადავაკარგვინებთ, თვით ფედერაციაც ჩაფუშდებაო. ამ აზრით მოისყიდეს მათ ორშარდი. 17 თვის შემდეგ დაიწყეს საქმის გარჩევა, რომელმაც რამდენსამე კვირას გასტანა. მუშათა ფედერაციამ საქმის გარჩევის დროს განაცხადა, თუ ჩვენი ამხანაგები დაისჯებიან, საყოველთაო გაფიცვას გამოვაცხადებთო. ესეც რომ არა ყოფილიყოს, სასამართლო მაინც ვერ დასჯიდა, რადგან საბუთები არ აღმოჩნდა, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ყოფილიყო ბრალდებულთა გამტყუნება. სასამართლო იძულებული იყო მუშები სრულიად გაენთავისუფლებინა.

ამნაირად შეერთებულ შტატების კაპიტალისტებს სურვილი არ აუხდათ.

ვ. დ.

## პროვინციის ცხოვრება

**დაბა ტყიბული.** 3 მარიამობისთვეს აქ საზიზღარი ამბავი მოხდა. ჩხარში ვიღაც მესხისას მდგარა მოსამსახურედ ახალგაზრდა ქალი, ასე 15—16 წლისა. მესხს, როგორც ამბობენ, ამ ქალის 6 თვის ქირის მიცემა არა სდომებია და როდესაც მას უთხოვია, ფეხზედ უარი უთქვამს, უცემია და გაუგდია. ქალი ადგილობრივ ბოქაულთან მისულა საჩივლელად. და ამ უკანასკნელს იმის ნაცვლად, რომ საჩივარისთვის ყურადღება მიექცია, პასპორტი მოუთხოვია, რაიც ქალს არ აღმოსჩენია. ეს ქალი რაჭველი ყოფილა და ჩხარის ბოქაულს ეტაპით რაჭაში უნდა გაეგზავნა, მაგრამ რადაც მოსაზრებით ტყიბულის ბოქაულისათვის გამოუგზავნია. ამ რიგათ, ახალგაზრდა ქალი ხელში ჩაუგდია სტრაჟნიკისათვის. რამდენსამე დღეს ეს ქალი ტყიბულის სტრაჟნიკების სადგომში იყო და დამეს სად ათევდა, არავინ იცის, რადგან აქ არსებულ ტავლა-სატუსაღოში ტუსადი კაცები იყვნენ იმ ჟამად. დღეს დილას სატოდავი ქალი აივანზე მჯდარა. ამ დროს იგრიალა თოფმა და ქალს მარცხენა უბა თვალიანად მოჰგლიჯა. სტრაჟნიკმა ცომაიამ დაიყვირა: „ეს რა დმერთი გამიწყრა, ქალი მოვკალი“ ო. თოფი ისე ახლოს გავარდნილა, რომ სახეზე თოფის წამალი აკრავს. იქვე ახლოს მჯდარა მამასახლისი და სოფლის მასწავლებელი (გვარი არ ვიცი). იმ წამსვე გაჩენილა შემთხვევით იქ მყოფი როტის აფიცერი. (ეს როტა სდგას „ნახშირა“-ში, რომელიც 5 ვერსის მანძილზეა ტყიბულიდან). მიზეზი ქალის დაჭრისა ვერ გავიგეთ. კარგი იქნება, საქმის გამორკვევისათვის გამომძიებელი დაეკითხოს ამ აფიცერს, თუ რა მდგომარეობაში იყვნენ იქ მყოფი ბოქაული და სტრაჟნიკები. შემთხვევით აქ მყოფმა ექიმმა ბ. ნაზაროვმა ინახულა დაჭრილი ქალი და, ალბად, იმის რჩევით, გუშინ (4 აგვისტოს) მომაკვდავი ქალი ქუთაისს გაგზავნეს. ქალი, გრძნობაში მოსვლის შემდეგ, საზარელის ხმით იძახოდა: „სად არის ჩემი თვალი? მომეცით ჩემი თვალი“-ო. წინა ღამეს 1—2 საათზედ სტრაჟნიკების ბინიდან თოფის ხმა მოისმა· ის ქალი იმ ღამესაც იქ იყო. დილას ამბობდნენ, ვითომ სტრაჟნიკს ესროლოს თოფი მოკიდებულ ფანრისათვის. ასა, რომელი ჭკუაში-მყოფი ადამიანი აქრობს ცეცხლს თოფით? ყველა ამას გამორკვევა უნდა.

ალექსი ოკრიბელი.

—

**ხევი** (დუშეთის მაზრა). წლევანდელი ზაფხული აქეთ ძლიერ წვიმიანი და გრილია. გაზაფხულზედ ძლიერ გვალვები დაიჭირა და ჭინახული მეტად შეაწუხა, მაგრამ ზაფხულის ხშირმა წვიმებმა ისე გამოაბრუნეს ჭინახული, რომ ამისთანა მოსავალი იშვიათია ხევში. საზოგადოდ, ჩვენ მთაში წვიმა არა სწყინს მოსავალს, რადგან გვიანი ადგილია. ჭინახულის მოსავალი კარგია, სიმინდის თივა არ ვარგა.

ქისტებმა კიდევ დაიწყეს ნავარდობა საქართველოს სამხედრო გზაზედ. მკათათვის თერთმეტში, შუადღისას, დარიელის ხიდთან სამი ქისტი დაუხვდა ფეხით მიმავალ ორს ოსს და გასცარცვა. ერთს წაართვეს 25 მ. მეორეს 8 მ. ტანისამოსიც სულ გახადეს. მკათათვის პირველებში ბალთასა და დარს შუა გაცარცვეს კავკავიდან მომავალი ქართველი· წაართვეს 35 მანეთი და ტანისამოსიც გახადეს. ამ მგზავრს ჟამაგირი აეღო და შინ მოდიოდა დუშეთისკენ. მცარცვავი ქისტები გაცვივდნენ თერგში და შეცვივდნენ სოფ. დლინი-დალინაში. ესეც შუადღისას მოხდა. აცნობეს ყაზახებს. იმხანად ყაზახების უფროსიც იქ შეხვდა, მაგრამ იღბლიან ქისტებს არავინ გამოუდგა. ქართველი კავკავისკენვე დაბრუნდა ტიტველ შიშველი, დაღონებული დაძმარებული. ქართველი ოსეში.

—

**კახეთი.** როგორც მკითხველთ ეხსომება, პურის მოსავალი წელს ნაკლები იყო კახეთში, ისე რომ მთელი წლის სარჩოთაც არ ეყოფათ მცხოვრებთ, არა თუ იმის კაიდგით აუცილებელი მოთხოვნილებანი დაიკმაყოფილონ. დარჩა ღვინის მოსავალი, რომლისაგან კახელი მთელის ხსნას. მართალია, ამას კარგი პირი უჩანს, მაგრამ რთველამდე ჯერ დიდი დროა და ვინ იცის რა იქნება. 3 აგვისტოს უცბად წამოუარა ქარიშხალმა, მოჰყვა ზედ მსხვილი წვიმა და სეტყვა. კიდევ კარგი, მალე გადაიღო და არც დიდ მანძილზე უყოფილა. სეტყვა მთიდან დაიწყო, ნაკათვე სულ თეთრად მოფინა, ზემო სოფლებიც თან დაიყოლია. შალაურის და კურდღელაურის თავის ვენახები, რასაც კი მოჰხვდა, ძალიან დააზარალა, ზოგან მოსავალი გაანახევრა, თან ქარიც ჰქროდა და რაც სეტყვამ დააკლო, ამან შეუსრულა.

ამ ბოლო დროს კახეთის გზებზე დილიჟნებზე თავდასხმა და მგზავრთა გაცარცვის ამბავი აღარ ისმის. ალაზნის ხიდთან ჭალაში და გომბორის გზატკეცილზე მუდმივი ყარაულები დააწესეს, რომელნიც მგზავრებს აცილებენ ხოლმე.

მკვლელობა კი არა კლებულობს. 4 აგვისტოს თავის სოფელში მიდენილა ხორხელი აზნაურიშვილი ბუნიათოვი. ვარდისუბნის ხევში რომ ჩასულა, ვიღაც უცნობნი დახვედრიან და მძიმედ დაუჭრიათ, რომლის შემდეგ მიმალულან. დაჭრილი მალე გარდაიცვალა, მხოლოდ ის კი ეთქვა, სამი წითელ ხალათა ბიჭი იყოო. ბუნიათოვი წინად სოფლის მწერლადა ყოფილა.

გახშირდა დაპატიმრება. კახეთიდან ადმინისტრატიულად გარდასახლებულთა რიცხვი თანდა თან მატულობს.

ეული.

—

**ცხინვალი.** დღეს ჩვენი დაბა სადათას ძილს მისცემია. მშრომელ ხალხის გულში მხოლოდ ბნელი ძალები აფათურებენ თავიანთ მურტალ ხელებს და სიცილ-ხარხარით განგაშსა სცემენ და ფერხულს უვლიან „გამარჯვება ჩვენიას“ სიმღერით. გუშინდელი თავისუფლების მოტრფიალე, დღეს ქედმოხრილი რეაქციის კუდს უქიცინებს და „ზოდოს-სტეპკოვიჩისთურთ“ მთავრობის ადსავლის კარების წინ გულზე ხელებ დაკრეფილი უკაღობს: „ოსანა მაღალთა შინა, კურთხეულ არს რეაქცია თავის სიძლიერითაო“. ცნობილი მაყაშვილი მოაშორეს ჩვენ დაბას და გადაიყვანეს ბორჯომში. იმის ნაცვლად კი ციციშვილი დანიშნეს, რომელიც ჯერ ჯერობით კარგად იქცევა და შემდეგისა კი რა მოგახსენოთ, შეიძლება ახალმა ცოცხმა კარგად დაგავოს და შემდეგ კი დაძველებულმა ქვიშა გაატანოს. ამასთან განდევნეს ჯავის ცნობილი ბაყ-ბაყ მღვდი გვათუა, რომელიც ტფილისში გადაიყვანეს დირსება ახდილი. და რად მოხდა ეს? იმიტომ, რომ რაზმელებზე იერიში რომ მიიტანეს, იმათ უკუ აგდეს და ორი კაზაკი დაუჭრეს პატარა ლიახვის ხეობაში. დღეს ჩვენი დაბის ვითარება ასეთია და შემდეგისა კი რა მოგახსენოთ.

ოკუ.

## რუსეთი

✦ **გადასახლების ნაყოფი.** რუსეთის მთავრობამ აყარებული ხალხი შეიტყუა ციმბირში. წამსვლელებს საამქვეყნო სამოთხეს ჰპირდებოდნენ, ნამდვილად კი ჯოჯოხეთში ჩაყარეს. გადასახლებულთა დიდი ნაწილი უკანვე მოიწევს, მაგრამ მთავრობამ საამისო მახეც გააბა: აქედან წასულები ძალიან იაფად მიჰყავს, იქიდან წამოსულებს კი არავითარ დახმარებას არ აძლევს. გადატაკებულ გლეხს მთელი ოჯახისა და ბარგი-ბარხანის წამოსაღებად რამდენიმე ასეულ მანეთის დახარჯვა არ შეუძლიან, ძალაუნებურად იქ რჩება და თავის გამოსაკვებად ავაზაკობას იწყობს· ამ ნიადაგზე გადასახლებულთა და „ინოროდცებს“ შორის დამოკიდებულება ძალიან გამწვავდა. დღემდის მთავრობა არა რუსებს არ ერიდება და უმიზეზოდ, ძალით ართმევს აყარებელ მამულებს და გადასახლებულთ აძლევს. გადასახლებულებიც შეეჩვივნენ ამას და თვითონაც მიჰყვეს ხელი ბურიატებისა, სარტებისა და ყირგიზების აკლება-აწიოკებას. აკლება ასე ხდება: იკრიბება ასიოდე შეიარაღებული რუსი, თავს ესხმის ყირგიზების სოფელს, ვინც მოხვდება ხოცავს, ხოლო მთელ სოფელს იკლებს და რის წაღებაც შეუძლიან, მიაქვს. ადგილობრივი მთავრობა ასეთ ნადირობას დიდ ყურადღებას არ აქცევს. უკანასკნელად რუსებმა სოფელი ბეკსენტი აკლეს, ათიოდე ყირგიზი დასჭრეს, ოთხი მოკლეს, 15000 მანეთი ფულად წაიღეს და აუარებელი საქონელი გაიტაცეს. ალტაის ოლქში გადმოსახლებულებმა იქაურ ყალმიკებს მთელი მიწები წაართვეს და მთებში შერეკეს, სადაც მათ სიმშილისაგან ამოწყვეტა მოელით. ყალმიკებმა საჩივარი აღძრეს დეპეშით, შველას თხოულობენ, მაგრამ მშველელი არავინ არის. დღემდის მშვიდობის მოყვარე ყალმიკი და ყირგიზი ბოლოს და ბოლოს იძულებული იქნება ძალით დაიცვას ცხოვრების უფლება და ბრძოლა დაიწყოს, მაგრამ რუსეთის მთავრობასაც ეს უნდა: მიზეზს იპოვის და იმოდენა ხალხს ან ამოსწყვეტს, ან ულუკმა პუროდ დასტოვებს.

✦ **ორი თვის სტატისტიკა.** ორი თვის განმავლობაში, ივნისსა და ივლისში სამხედრო სასამართლოებმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 83 კაცს, 35 კაცი დაახრჩეს და დახვრიტეს. მოკლულ იქნა 309 კაცი; აქედან კერძო პირი 232, მოხელე და პოლიციელი 87; დაიჭრა 245; აქედან პოლიციელი და მოხელე 71, კერძო — 174. ამავე თვის განმავლობაში მოხდა 178 ექსპროპრიაცია, გაიტაცეს ერთ მილიონზე მეტი მანეთი: აღმოაჩინეს 63 სახელოსნო ყუმბარისა და იარაღისა და 11 სტამბა.

✦ **პარტიები და საარჩევნო მზადება პეტერბურგში** „მშვიდობიან აღორძინების“ პარტია არჩევნებში მხარს დაუჭერს კადეტებს.

ოქტომბრისტების პეტერბურგელ კანდიდატს, ცნობილ ვექილს ვარაბჩევსკის საქმე გაეხლართა. მას ცენზი აქვს მეორე კურიაში, ხოლო ოქტომბრისტების გამარჯვების იმედი მხოლოდ პირველ კურიაში აქვთ.

კრუშევანს უთხოვნია „ჭეშმარიტ რუსებისთვის“, მხარი დამიჭირეთ და სთხოვეთ, სადაც ჯერ არს, რომ სასულიერო სემინარიაში მოლდავანურ ენის მასწავლებლობა მომცენო. ჭეშმარიტები ალტაცებით მიგებებიან ამ ამბავს და სინოდისთვის უთხოვნიათ, კრუშევანს მასწავლებლის ადგილი მიეციათო.

✦ **გერარდის დაბრუნება.** რუსეთის გაზეთები იუწყებიან, რომ ტყუილია ის ხმა, ვითომ ფინლიანდიის გენ.-გუბერნატორი საზღვარ-გარეთიდან აღარ დაბრუნდებაო და ვითომ ფინლიანდიის საფრთხე მოელისო. ერთი თვის შემდეგ გერარდი დაბრუნდება და თავის საქმეს შეუდგება.

✦ **სტოლიპინის ინტერვიუ.** ფრანგულ გაზეთ „მატენ“-ის კორესპონდენტს უნახავს პრეიმერ-მინისტრი სტოლიპინი და უკითხავს, რა მდგომარეობაშია ამ ჟამად რუსეთის შინაური საქმეებიო. მინისტრს მიუგია: „ეხლა რუსეთში მშვიდობიანობაა, წეს-რიგი არ ირღვევა, გლეხებიც მშვიდდებიან და სიამოვნებით ყიდულობენ მიწასაო“. აგრარულ საკითხის შესახებ მინისტრმა სთქვა: „მიწის საქმის გადაწყვეტა განყენებულ თეორიებს არ შეუძლიანთ. ამისთვის საჭიროა ბევრი დრო. გერმანიამ ამ საქმეს 70 წელიწადი მოანდომა და დღესაც ვერ გაუთავებია“. „რევოლიუცია, მინისტრის აზრით, გათავდა. პეტერბურგსა და პროვინციაში სრული მშვიდობიანობაა. თუ მთავრობა მეტის-მეტად სუსტი არ არის, იგი ყოველთვის გამარჯვებული იქნება. იმედი მაქვს, რომ მესამე სათათბირო ზომიერი იქნება. ოპოზიციისა არ მეშინიან, მაგრამ მსურს, რომ იგი ჭკვიანი და გონიერი „იყოს“.

### ყაზბეგის ქალთა სასწავლებელი.

(წერილი რედ. მიმართ).

ხუთი წელიწადია, რაც არსებობს და ინახება კერძო შემოწირულებით ყაზბეგის ქალთა სკოლა. ამ დროის განმავლობაში მისმა ხელმძღვანელებმა აშკარად დაინახეს, რომ სკოლის ის პირვანდელი მიზანი, რომ უმაწვილებს მხოლოდ პირველ დაწყებითი სწავლა მიეცეთ სამშობლო ენაზეო, ახლანდელ დროს აღარ აკმაყოფილებს. ჩვენი ცხოვრება ისე მიესწრაფება განათლებისაკენ, რომ რაც უნდა მცირე ხელობა აირჩიოს უმაწვილმა ქალმა, მაინც საჭიროა მიიღოს ცოდნა არა ნაკლებ პროგიმნაზიულ კურსისა და ჩვენც დროთა მიხედვით განვიძრახეთ შარშან პროგიმნაზიის კლასების გახსნა და ეს განძრახვა მოგვყავს სისრულეში. წრეულს ვხსნით უკვე პირველ კლასს. მართალია, დიდი გასაჭირი მოგველის ამისთანა მატერიალურის მხრივ შევიწროვებულ დროში, გაგვიჭირდება სახსრის შოვნა პროგიმნაზიის შესანახად, რადგან სწავლის ფასი დანიშნულია სწორედ იმისი ნახევარი (24 მან.), რასაც სხვა ქალების პროგიმნაზიები იღებენ, მაგრამ საზოგადოება ისეთის თანაგრძნობით ეკიდება ამ სკოლას, რომ ეს გვამხნევებს და გვაძლევს იმედს, რომ ამ მძიმე საქმეს ბოლომდის გავიტანთ. ამასთან დარწმუნებულნი ვართ, რომ ეს ქალთა პროგიმნაზია, სამშობლო ნიადაგზე დაყენებული, არ ჩამორჩება სხვა ქალთა პროგიმნაზიებს. დაწვრილებითი პირობები უმაწვილების მიღებისა მსურველს შეუძლიან გაიგოს დღეიდან „ჭეჭილის“ რედაქციაში. (არტილერიის ქუჩა, № 5)

ან. წერეთლისა.

---

არის ბრძოლა ქალაქებში, მაგ. ლონდონში, სადაც დიდი ნაწილი ქალაქის შენობებისა ქალაქის ლენდლორდების ხელშია. სარგებლობენ რა მარჯვე მდგომარეობით, ესენი ძალზე აძვირებენ სადგომებს და უშრომლად, ხელის გაუქნევლად იღებენ დიდ შემოსავალს. ბინების გაძვირების გამო ქალაქის ღარიბი მცხოვრებნი იძულებულნი არიან გაიხიზნენ ქალაქგარედ, ცუდ და ჯანმრთელობისათვის მავნებელ ადგილებში. თავის თავად ცხადია, რომ ქალაქის თვითმართველობა გადაიქცევა ბრძოლის მოედნად ლენდლორდების მონოპოლიის წინააღმდეგ. კომუნა სცდილობს, გააფართოოს თავისი უფლებანი, როგორც გადასახადის დადებით ქალაქის მიწის პატრონებზე, ისე საზოგადო კულტურულ მოთხოვნილებებისათვის საჭირო მიწის მითვისებით. ქალაქის ლენდ ლორდები მტკიცედ იცავენ თავიანთ უფლებებს და პრეროგატივებს და ხან და ხან კიდეც ახერხებენ საკანონმდებლო გზით მუნიციპალიტეტების ამგვარ ცდის შევიწროებას. როდესაც სოციალისტები პროგრამა მინიმუმში წამოაყენებენ მიწის სოციალიზაციის მოთხოვნას, ამით ისინი, სხვათა შორის, შეეხებიან ერთ ფრიად საყურადღებო პრობლემას, ეგრედ წოდებულ „მუნიციპალურ სოციალიზმს“ და გადასწყვეტენ მას რადიკალურად, ეს ისეთი გადაწყვეტილებაა, რომლის გარშემოც დაფეთებით ფეხებს აბაკუნებენ თითქმის მემარცხენე პროგრესისტ-რადიკალები არა სოციალისტურ ბანაკიდან. ამნაირად, სოციალისტები აქაც, როგორც სხვა საქმეში, გაბედვით წავლენ ყოველგვარ ჭეშმარიტ-პროგრესიულ მოძრაობის წინ და მისცემენ მას ფართო მსვლელობას და უშიშრობას თავიანთ მოთხოვნათა ბოლომდის მისაყვანად.

რით არის უკანონო საადგილ-მამულო სოციალიზატორულ მოთხოვნის წამოყენება პროგრამა მინიმუმში? შეიძლება გვითხრან, ამ მოთხოვნის პროგრამა მინიმუმში მოთავსება პრაქტიკულად განუხორციელებელიაო; რომ მხოლოდ სოციალურ რევოლიუციას შეუძლიან მიწის სოციალიზაციის განხორციელებაო; რომ მინიმალური მოთხოვანი გამოანგარიშებულია იმ ეპოქისთვის, როცა სახელმწიფოში ცოტად თუ ბევრად ბატონობენ ბურჟუაზიული და არა სოციალისტური ელემენტებიო; რომ ეს ბურჟუაზიული ელემენტები მიწის სოციალიზაციას არ დასთანხმდებიანო. მაგრამ ნუ თუ უნდა შევამციროთ ჩვენი პროგრამა-მინიმუმი იმის დაგვარად, თუ რის დათმობას და თანხმობას ინებებენ ბურჟუაზიული ელემენტები? ყური დაუგდეთ, ბატონებო, ამის საპასუხოდ, თქვენს საკუთარ მასწავლებელს. აი, რას ამბობს მინიმალურ პროგრამის შესახებ თუ გინდ კაუცკი: „პროგრამამ უნდა აჩვენოს, თუ რას **მოვითხოვთ** ჩვენ თანამედროვე საზოგადოებისაგან, ან თანამედროვე სახელმწიფოსაგან და არა ის, თუ რას **მოველით** იმისაგან.“ და, აი როგორ ახასიათებს იგი ამ აზრს: „ავიღოთ, მაგ., გერმანიის სოციალ-დემოკრატიის პროგრამა. ის მოითხოვს ხალხის მიერ ჩინოვნიკების არჩევას... არავინ არ მიეცემა ისეთ ოცნებას, რომ შესაძლებელად ჩასთვალოს თანამედროვე პოლიტიკურ პირობებში გერმანიის იმპერიაში ხალხის მიერ ჩინოვნიკების არჩევის მოთხოვნის განხორციელება. მაგრამ განა ეს საკმაო საბუთია იმისა, რომ იგი არ იქმნას შეტანილი პროგრამა-მინიმუმში?“ **პრაქტიკულად** ხალხის მიერ ჩინოვნიკების არჩევა თეორიიდან სინამდვილის სამეფოში გადავა მხოლოდ მაშინ, როცა საბოლოოდ გაიმარჯვებს გერმანიის სოციალ-დემოკრატია, მაგრამ ამ უკანასკნელს ბევრი საბუთი აქვს (და არც ერთი საწინააღმდეგო), რომ ეს მოთხოვნა დღესვე იყოს პროგრამა-მინიმუმში მოხსენებული, ვინაიდან მისი განხორციელება გვიჩვენებს იმ გზას, რა გზაზედაც ეხლაც შეიძლება რამდენისამე ნაბიჯის გადადგმა. ხოლო თითო ასეთი ნაბიჯი კი არ გააფუჭებს, არამედ გააუმჯობესებს მუშა ხალხის ბრძოლის პირობებს შემდეგში.

ჩვენ არ ვიცით და არც შეგვიძლიან ვიცოდეთ, თუ რომელისა და რამდენის მოთხოვნის განხორციელება შეიძლება დიდ და უკანასკნელ ბრძოლამდის, რომელსაც შრომის არმია კაპიტალის არმიას გამოუცხადებს. პრაქტიკული ზომა მახლობელ მოთხოვნათა განხორციელების შესატყობად შეიძლება სხვა და სხვა იყოს სხვა და სხვა მხარეში. სირთულე და სხვა და სხვა ფერობა კონკრეტულ პირობებისა, რომელთა მიხედვითაც განისაზღვრება ეს ზომა, ჩვენს ყოველ მხრივ და სრულ გამოანგარიშებას არ ემორჩილება. ჩვენ წინასწარმეტყველები არა ვართ. კიდეც რომ მოვისურვოთ, მაინც ვერ შევძლებთ ისე გამოვზომოთ მინიმალური მოთხოვნანი, რომ ნამდვილად შეეთანასწორებოდეს ცხოვრების ნაბიჯებს. არც გვინდა ესა. ჩვენ მხოლოდ რაც შეიძლება **ფართოდ** უნდა წამოვაყენოთ თვითეული ამგვარი მოთხოვნა, რომ მან სწორი მიმართულება მოგვცეს. ჩვენი პროგრამა-მინიმუმის მოთხოვნანი, ყველაზე უწინ, ამგვარი პრინციპიალური დირექტივებია!

პ—ძე.

(შემდეგი იქნება)

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

**რ უ ს ე თ შ ი.**

8 აგვისტო.

**ორიოლი.** სოფ. ბალხოვსკაში 28 მოსახლე გავიდა ოპშჩინიდან და ხვედრი სანადელო მიწა საკუთრებად დაიმტკიცა.

**პეტერბურგი.** შავი ჭირის მებრძოლი კომისია აცხადებს: 4 და 5 აგვისტოს სამარაში ხოლერით ავად გახდა 7 კაცი. სენის გაჩენიდან სულ ავად გახდა 166 კაცი, აქედან 59 გარდაიცვალა.

**ელისავეტგრადი.** 42 გრადუ ი სიცხეა. ხვნა-თესვას ვერ შესდგომიან.

**ლოძი.** გასძარცვეს: ტერ-აკოფოვის ნავთის საწყობი, წაიღეს 226 მანეთი; გალკინის პურის საცხობი, წაიღეს 700 მანეთი; ზდუნის ვოლიაში გასძარცვეს ორი საარყე დუქანი; წაიღეს 640 მანეთი.

**ელისავეტგრადი.** მემამულემ პახომოვმა რევოლვერით მოჰკლა ერთი მუშა. დანარჩენმა მუშებმა მუშაობაზე ხელი აიღეს. პახომოვი დააპატიმრეს.

**ყაზანი.** შეიპყრეს სტუდენტის ფორმაში გამოწყობილი ყმაწვილი კაცი, რომელსაც უპოვნეს ორი პორტ-სიგარი და ჯვარო, ყაზანის საოლქო სამკურნალოში მოპარული. დაპატიმრებულმა ჯერ განაცხადა სტუდენტი ვარო, მერე სთქვა—მასწავლებლად ნამყოფიო.

**ოდესა.** მოჰკლეს ვეინშტეინის წისქვილთან ძაღაზიის გამგე ბარონ-ფონ-ბრენნერი. ბრენნერმა მუშების გაფიცვის დროს შორიდან მოსულნი დაიქირავა.

**ლუცკი.** როვენის მაზრის სოფ. ბერეზნაში 300 გლეხმა ურიადნიკს წინააღმდეგობა გაუწია. პოლიციამ ორი გლეხი მოჰკლა, სამი დასჭრა. გლეხები გაჰფანტეს.

**ფეოდოსია.** მიწის მომწესრიგებელ კომისიამ 3,600 დესეტინა მიწა გლეხებს გარდასცა.

**კიევი.** სადგურ როსზე მოხდა შეიარაღებული თავდასხმა. მოჰკლეს სადგურის უფროსი. ერთი თავდამსხმელი დასჭრეს.

**ნიჟნი-ნოვგოროდი.** ხოლერასთან საბრძოლველად ქალ. საბჭომ გადასდო 6000 მანეთი. საბჭომ დაადგინა: თუ ექიმი გარდაიცვალა ხოლერით, იმის მემკვიდრეებს მიეცეთ ერთ დროებით 5000 მანეთი, თუ სტუდენტი ან ფერშალი—2000 მანეთი, თუ სანიტარი—1000 მანეთი, თუ მოსამსახურე—500 მანეთი.

**ლოძი.** რაგოდოშამი მოჰკლეს ტომასის ლუდის ქარხნის მუშათა მეთვალყურე.

**ყაზანი** მეპურეთა კავშირმა ერთ პურის საცხობში მუშათა გაფიცვა მოახდინა. ამის გამო ფურნეების პატრონებმა დაადგინეს, თუ კავშირი კიდევ გაერია საქმეში, ან თუ კიდევ გაფიცვა მოხდა, ერთი თვის ლოკაუტი გამოაცხადოს.

**კრასნოიარსკი.** ავაზაკთა ბრბომ დღისით გასძარცვა სავასტიანოს კანტორა. წაიღეს 2100 მანეთი. ორი კაცი შეიპყრეს. მათ ფული უპოვნეს.

**ვასილ-სურსკი.** სოფ. ბიკოვკაში ავად გახდა სამარიდან მოსული სამი კაცი. ექიმის აზრით ხოლერაა. ავად ყოფები რჩებიან.

**ასხაბადი.** მერვში მოჰკლეს რკინის გზის დეპოს უფროსი ცვეიფელი. მკვლელი მიიმალა.

**კიევი.** 7 აგვისტოს შუადამისას სადგურ ძირონცვკას თავს დაესხა 12 შეიარაღებული და ზოგიც ნიღაბ აფარებული კაცი. გააფუჭეს ტელეგრაფი, ასტეხეს სროლა და ორი მგზავრი დასჭრეს, მაგრამ ფულის წაღება ვერ მოასწრეს, რადგან ჟანდარმებმა და სადგურის უფროსმა სროლა აუტეხეს. უცნობნი მიიმალნენ. ეჭვი ერთ კაცზე მიიტანეს და დააპატიმრეს.

**კალუგა.** ჟიზდრინის მაზრის ლიუდინოვის ქარხნის ლითონის ჩამომსხმელებმა მაღ ით გააგდეს ერთი მეკანტორე. ითხოვეს მისი სრულებით დათხოვნა. ქარხნის ადმინისტრაციამ სახელოსნო დაკეტა. ქარხანა გაიფიცა.

**ლოძი.** მოჰკლეს პარტიულ ნიადაგზე ზილბერშტეინის ფაბრიკის მუშა.

**ვლადივოსტოკი.** 7 აგვისტოს შუა ქალაქში გასძარცვეს საგალანტერიო მაღაზია. ვაჟურად მოჰკლეს ჩინელი ყარაული.

**პეტერბურგი.** ქალაქის საბჭომ ხოლერასთან საბრძოლველად გადასდო 50,000 მანეთი.

სახლო განათლების მინისტრმა დაამტკიცა წესდება მასწავლებელთა მოსამზადებელ კურსებისა. კურსები შეიძლება გაიხსნას არა თუ სასწავლებლებთან, არამედ კერძოდაც. კურსების გახსნის უფლება აქვს, სამოსწავლო მთავრობის გარდა, საზოგადოებებს და დაწესებულებებს და აგრეთვე კერძო პირებს. კურსებზე სწავლამ ორიდან სამწლამდე უნდა გასტანოს. სწავლის ფასი გადიდებულია. კურსები ორივე სქესისთვის იქმნება.

სინოდმა ვიატკის ეპისკოპოსს მიანდო ახადოს მღვდლის ხარისხი დეკანოზს ოგნევს, თანახმად ამ უკანასკნელის თხოვნისა.

**მინსკი.** ლიბავო-რომენის რკინის გზის სადგურ რატომკასთან მატარებელი ლიანდაგიდან გადავარდა. დამავდა სამი კონდუქტორი და ორი მუშა.

**პეტერბურგი.** ვაჭრობის სამინისტროს სატეხნიკო საბჭოში განიხილეს პროექტი ბიბიეიბათის ბუხტის ჩრდილოეთის მხრის ამოვსების შესახებ. საბჭომ ყურადღება მიაქცია იმ გარემოებას, რომ ბიბი-ეიბათიდან შავ ქალაქში ნავთის გადატანა რაციონალურად არა სწარმოებს და ამიტომ საჭიროდ სცნო ნავთის მილის გაკეთება. წინადადება მიეცათ დამსწრე ნავთის მწარმოებელთა და აღმასრულებელ კომიტეტის წარმომადგენელს, ინჟინერს ფილიპოვს, წარადგინონ პროექტი ბიბი-ეიბათის ბუხტის ამოვსების შესახებ.

**პეტერბურგი.** ხოლერასთან მებრძოლი კომისია აცხადებს: 5 აგვისტოს ასტრახანში ავად გახდა 14 კაცი, 6 აგვისტოს 14, სულ თავიდან 80 კაცი; აქედან 32 გარდაიცვალა.

სამარაში 6 აგვისტოს ავად გახდა 6, გარდაიცვალა 4. სულ თავიდან ავად გახდა 174 კაცი, აქედან გარდაიცვალა 63.

6 აგვისტოს სტავროპოლში აღმოაჩინეს საეჭვო ავადმყოფი. სტავროპოლის მაზრის სოფ. მელეკესში ორი კაცი გახდა ავად. იქ 25 ივლისიდან 6 აგვისტომდე 13 შემთხვევა იყო ხოლერით ავადმყოფობისა. 10 გარდაიცვალა.

**ხარკოვი.** დაეცნენ სერდობის მაზრის ჩერკასსკის საგლეხო სასამართლოს. გაიტაცეს ბეჭდები, საპასპორტო ბლანკები და 200 მანეთი ფული.

**სიმბირსკი.** კორსუნის მაზრაში გარდაიცვალა სამარიდან ჩამოსული ერთი კაცი. ფიქრობენ, რომ სიკვდილის მიზეზი ხოლერა იყო.

**კამიშინი.** გემ „პუშკინიდან" გადმოყვანილი საეჭვო ავადმყოფი გარდაიცვალა.

9 აგვისტო.

**უ ც ხ ო ე თ ი**

**ლონდონი.** ტანჟერიდან მოსულ ცნობებით, მაზხიანმა ფეცაში მყოფ ელჩებს და დანარჩენ ევროპიელებს წინადადება მისცა, გაიდნენ სატახტო ქალაქიდან, რადგან არეულობა მოსალოდნელიაო. ორი ვაზანელი შეფირა მიაცილებს ევროპიელებს ზღვის ნაპირამდე.

**თეირანი.** სტამბოლში ელჩად ნამყოფი ალა-ელმუკი დანიშნეს იუსტიციის მინისტრად. პრემიერად ნამყოფას შვილი მუსტაფა მამლიკი დაინიშნა სამხედრო მინისტრად.

**კრონვინსტოუნი** (მასსაჩუზეტის შტატი). 7 აგვისტოს რუზველტის თანადასწრებით ჩაჰყარეს საძირკველი ძეგლისა, რომელიც შენდება ინგლისელ სეპარატისტების სახსოვრად. ეს სეპარატისტები 300 წლის წინად გაიდნენ შეერთებულ შტატების ნაპირებზე. თავის სიტყვაში რუზველტმა სთქვა, რომ შეერთებულ შტატებში თანდა-თან იკიდებს ფეხს ის გადაწყვეტილება, რომ არავის არ მიეცეს განსაკუთრებული უფლებები კაპიტალის მოგროვებისათვის. რუზველტის აზრით, სინდიკატების მოქმედება აუცილებლად უნდა დაემორჩილოს საერთო კანონებს, რადგან იმათი მოქმედება ვრცელდება რამდენსამე შტატზე. უკვე დიდი რამ გაკეთდა რკინის გზის სინდიკატთა მოღვაწეობაში. ამ მხრით მუშაობა არ უნდა შეჩერდეს. მთავრობას უნდა ჰქონდეს უფლება კანტროლისა ამ სინდიკატებზე. მომავალში უნდა შევიმუშაოთ ისეთი კანონი, რომელიც ხელს შეუწყობს საზოგადო სასარგებლო სინდიკატების მოწყობას. ეს სინდიკატები უნდა იყოს ლეგალური და წინადვე მოწონებული მთავრობის დაწესებულებისაგან. მთავრობას განზრახვა აქვს მიიღოს ენერგიული ზომები, რომ შესაძლებელი იყოს სისხლის სამართლით ხელმძღვანელთა დასჯაო. ბოლოს რუზველტმა აღნიშნა ის შიში, რომელმაც მოიცვა ყველა ქვეყნის ფულის ბირჟა. ამისა მიზეზი, სთქვა რუზველტმა მარტო შტატებში არ უნდა ვეძებოთ, თუმცა შესაძლებელია, მთავრობის იმ გადაწყვეტილებამ, რომ დასაჯოს ზოგიერთი კანონის დამრღვევი, ხელი შეუწყოს ამ შიშს. მაგრამ მთავრობა არ აიღებს ხელს დამნაშავეთა დასჯაზე, სულერთია ღარიბნი იქნებიან ისინი თუ მდიდრები. მთავრობას განზრახვა აქვს მხარი დაუჭიროს იმ სინდიკატებს, რომელნიც კანონიერად მოქმედებენ.

რედაქტორ-გამომცემელი

**ე. ავალიშვილი.**

## გამოსადეგი ცნობანი

მატარებლების მიმოსვლა

(18 აპრილიდან 15 ოქტომბრამდე)

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში—ტფილისისა)

ტფილისიდან მიდის

**ბაქოს:** 1) სწრაფი (როსტოვისა), დილის 6 საათზე (6 ს. და 58 წ.); 2) საფოსტო, საღამოს 7 ს. 36 წ. (8 ს. 34 წ.); 3) სამგზავრო, დილის 8 ს. 5 წ. (9 ს. 3 წ.)

**ბათუმს:** 1) სწრაფი, ღამის 11 საათზე (11 ს. 58 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 12 ს. 23 წ. (1 ს. 21 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 12 ს. 5 წ. (1 ს. 3წ.).

**ბორჯომს:** 1) ნაშუადღევის 2 ს. 10 წ. (3 ს. 8 წ.); 2) დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

**ერევანსა და ყარსს:** 1) საფოსტო, ღამის 12 ს. 10წ.; (1 ს. 8 წ.); 2) სამგზავრო, შუადღის 12 ს. 45 წ. (1 ს. 43 წ.).

ტფილისში მოდის.

**ბაქოდან:** 1) სწრაფი (როსტოვისა), ღამის 10 ს. 35 წ.; (11 ს. 33 წ.); 2) საფოსტო, შუადღის 11 ს. 33 წ. (12 ს. 31 წ.); 3) სამგზავრო, ღამის 11 ს. 35 წ. (12 ს. 33 წ.).

**ბათუმიდან:** 1) სწრაფი, დილის 5 ს. 40 წ. (6 ს. 38 წ.); 2 საფოსტო, საღამოს 6 ს. 45 წ. (7 ს. 43 წ.) 3); სამგზავრო, დილის 7 ს. 25 წ. (8 ს. 23 წ.).

**ბორჯომიდან:** 1) დილის 5 ს. 10 წ. (6 ს. 8 წ.); 2). საღამოს 9 ს. 2 წ. (10 ს.)

**ერევან-ყარსიდან:** 1) საფოსტო, დილის 5 ს. (5 ს. 58 წ.); 2) სამგზავრო, ნაშუადღევის 4 ს. 15 წ. (5 ს. 13 წ.).


# განცხადებანი

პირველი კერძო სამკურნალო

## დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე, კვირეებს გარდა.

**დ ი ლ ი თ:**

**ნ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**ე. მ. ჩიქოვანი:** $9^1/_2$—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ს. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებ-ო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გოგიაშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 1—$1^1/_2$ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შტერნბერგი:** $1^1/_2$—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი;** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

**ს ა ღ ა მ ო თ ი:**

**ა. ი. გრიგორიანი:** 6—7 ქირურ., ვენერ., შარდ. და კანისა.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ნ. ა. ნავასარდიანი**

(150—ხალ.—130)

# კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

## ლ. შ ტ რ ე ი ხ ე რ ი ს ა

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ. 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე

ფასი მკურნალობისა:

| | | | |
|---|---|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | | | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | | | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | | | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | | | |
| პლომბა გუდაპერჩისა | | | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. | | |
| „ „ მეტალიური | 1 „ | | |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ემალისა | 1 „ | 50 „ | |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ | | |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | | | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ | | |
| „ „ უფრო ძვირიც. | | | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | | | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ | | |
| „ „ კრამპონისა | 1 „ | 50 „ | |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით; | | | |
| „ „ თითო კავი | 1 „ | | |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ | | |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ | | |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | | | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ | | |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | | | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | | | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ, | | | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | | | |

(100—ბუხ.—32)

## Нормальное письмо

ანუ უადრესობა პირდაპირის ხელისა ირიბულის წინაშე,

**იაკო გოგებაშვილისა**

ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოებაში. ფასი ერთი აბაზი. ვინც ათობით დაიბარებს, წიგნაკი დაეთმობა 15 კაპ (3—3)

ტფილისის კბილის საექიმო

# ს კ ო ლ ა

## ლ. შტრეიხერისა

(შინაგან საქმეთა სამინისტროს უწყებისა) ერევნის მოედანი (პუშკინის ქუჩის ხრიდან).

თხოვნების მიღება **ორისავე სქესისაგან დაიწყო.** სწავლის კურსი $2^1/_2$ წელიწადი. შესასვლელად საჭიროა მოწმობა ექვსი კლასის გათავების შესახებ. მიღება პირველ, მესამე და მეექვსე სემესტრზე. (100—ბუხ.—33)

# მასწავლებელთა საყურადღებოთ!

## „არითმეტიკული კრებული"

ხრამელაშვილის შედგენილი 1 ნაწ. 30 კ. მეორე ნაწ. «კრებულისა», (მისივე)—40 კ.

**ქართული წერის დედანი**

ალ. მირიანაშვილის შედგენილი 40 კ.

ამ დედანთან სახმარებელი რვეულები I და II №—3 კაპ.

აქვე იყიდება ყოველ გვარი **ქართული წიგნები და სკოლებში სახმარებელი ქართულ რუსული სახელმძღვანელოები.**

მსურველს ფას დადებითაც გზავნება მისამართი: Тифлисъ книжн. магазинъ „ЦОДНА".

მაღაზიის პატრონი **ხოსიკო მერკვილაძე.** (20—193—14)

გამოვიდა და იყიდება

## ა. საჯაიასი

ახალი წიგნი

სოციალიზმ-ფედერალიზმი საქართველოში. წიგნი ღირს 20 კ და იყიდება „წ. კ. გამავრც. საზოგადოების" და „Новая Рѣчь"-ის მაღაზ. (0—უ.—18)

„წერა-კითხვის საზოგადოების" მაღაზიაში იყიდება შემდეგი ახალი წიგნები:

1. «**ამბოხება კახეთისა**», 1812 წ. ისტორიული ამბავი ა. ფრონელისა . . 1 მ.
2. «**საქართველოს მეფე და მისი უფლების ისტორია**», ე. ჯავახიშვილისა . 15 კ.
3. «**ქართლის ცხოვრება**», მარიამ დედოფლის ვარიანტი . . . . . . . 3 მ.
4. «**საბერძნეთის ძველი ისტორია**». ნორმანისა, თარგ. ვლ. ლორთქიფანიძისა 1 მ.
5. «**რომაელების ძველი ისტორია**», თარგმანი ვ. ლორთქიფანიძისა . . . 1 მ.
6. «**ფიზიკური გეოგრაფია**», ს. იამვალისა . . . . . . . . . 20 კ.
7. «**მასალები საქართველოს ისტორიისათვის**», . . . . . . . 1 მ.
8. «**საქართველოს ისტორია**», მ. ჯანაშვილისა . . . . . . . 1 მ.
9. «**შთიულეთი**», (ამბოხება 1814 წ.), ა. ფრონელისა. . . . . . . 40 კ.
10. «**ცისარტყელა**», სამხატვრო-სალიტერატურო კრებული (მრავალის სურათით). . . . . . . . 15 კ.
11. «Очерки грузинской словесности», IV, ა. ხახანაშვილისა . . . 3 მ. 50 კ.
12. Судьбы грузинской церкви», გაზეთ «რუსკი ვესტნიკის» გამოც მა . . . 25 კ.
13. «Государственный строй древней Грузіи и древней Арменій», ი. ჯავახიშვილისა . . . . . . . 1 მ. 35 კ.

(—13)

უკვე დაიწყო ბეჭდვა და ნოემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ქართული

# „დროების კალენდარი"

## დამდეგი 1908 წლისათვის.

**„დროების კალენდარი" შეიცავს რამდენიმე განყოფილებას, რომელშიაც მოთავსებული იქნება მრავალი თანამედროვე ცნობები და ჩვენ ცხოვრებაში მომხდარი შესანიშნავი მოვლენანი.**

კალენდარი იქნება დიდი ზომისა (ორ სვეტად, პარიზის ასოებით) და შეიცავს 200 გვერდს.

აგრეთვე იბეჭდება და ვინც „დროების კალენდარს" იყიდის, იმას პრემიად მიეცემა

## კედლის კალენდარი

კალენდარი იქნება დიდი ზომისა. თითო ფურცელში თითო თვე იქნება მოქცეული და ფერადის კრასკებით დაიბეჭდება.

„დროების კალენდარში" დაიბეჭდება ყოველგვარი განცხადებანი ქართულსა, რუსულს და სომხურს ენაზე.

**ფასი განცხადებისა:** კალენდარის დასაწყისში მთელი გვერდი ღირს 15 მან., ნახევარი გვერდი—9 მან., მეოთხედი გვერდი—5 მან.; კალენდრის ბოლოში მთელი გვერდი—12 მან., ნახევარი გვერდი —7 მან., მეოთხედი გვერდი—4 მან. ვინც განცხადებას დაბეჭდავს არა ნაკლებ 7 მანეთისა, იმას ერთი კალენდარი გაეგზავნება **უ ფ ა ს ო დ**

დასაბეჭდი განცხადებები მიიღება ამ წლის პირველ ოქტომბრამდე.

ვინც მოისურვებს „დროების კალენდრის" რამდენიმე ცალის ერთად დაკვეთას, იმან უნდა ადრევე აცნობოს, რომელთაც 30% დაკლებით დაეთმობათ.

ადრესი: ტფილისი, ნიკოლოზის ქ., «იდეალის» სტამბა. **„კალენდრის"** გამომცემელს.

# ახლად მოწყობილი სტამბა

# „იდეალი"

ელექტრონით მსწრაფლ-მბეჭდავი.

## მიიღება ყოველგვარი

## საქმე რუსულ და ქართულ ენაზე.

## ფ ა ს ე ბ ი ზ ო მ ი ე რ ი ა

ასრულებს სუფთად და კოხტად.

ადრესი: ნიკოლოზის ქუჩა. № 6. (სტ. 0—12)

ნამდვილი კახური ღვინო




ფასები ყველასათვის ხელმისაწვდომი. (100—90)


სტამბა „იდეალი" (მ. დ. კიკნაძისა) ნიკოლოზის ქ. № 6.